


ავტობიოგრაფია

მე, მაია ზარიძე დავიბადე 1977 წლის 15 დეკემბერს. 1995 წელს დავამთავრე თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელობის 23-ე საშუალო სკოლა. 2003 წელს დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი, ფრანგული ენის მასწავლებლის კვალიფიკაციით. 2004-2005 წლებში ვმუშაობდი ენდოსკოპიური ქირურგიისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრში "იუნონა", მენეჯერის პოზიციაზე. 2005-2011 წლებში ვმუშაობდი სს "თელასი"-ს გაყიდვების დეპარტამენტში ელ. ენერჯის შეზღუდვის ტექნიკური ბაზის ოპერატორის პოზიციაზე. 2011 წელს ვმუშაობდი იუსტიციის სახლში კონსულტანტის პოზიციაზე. 2013-2019 წლებში ვმუშაობდი სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სასწავლო პროგრამების განყოფილების სპეციალისტის პოზიციაზე. 2014 წელს დავამთავრე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა, მონიჭებული მაქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი მენეჯმენტში. 2019 წლიდან დღემდე ვმუშაობ ცესკოს საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის საარჩევნო კომისიების მართვის განყოფილების უფროსის პოზიციაზე. ზემოთ აღნიშნული საქმიანობების პარალელურად 2003-2006 წლამდე ჩატარებული ყველა არჩევნებისას ვმუშაობდი ცესკოს ტრენინგ-ოფიცრის, ხოლო 2006-2012 წლებში ცესკოს ტრენინგ-პროგრამების რეგიონული კოორდინატორის პოზიციაზე. გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში, კერძოდ 2009 წელს გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ის ხელშეწყობით საქართველოში პირველად განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული განვითარების საერთაშორისო BRIDGE-ის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2009-2016 წლებში მონაწილეობა მივიღე საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისთვის ჩატარებული პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელებაში, ტრენინგების ფარგლებში 2013 წელს მომენიჭა BRIDGE-ის სრულად აკრედიტებული ფასილიტატორის სტატუსი. 2003 წლიდან გამართულ ყველა არჩევნებზე ვახორციელებდი ცესკოს წარმომადგენლობას ყველა დონის საარჩევნო კომისიაში. მყავს ერთი შვილი.

მაია ზარიძე



თარიღი: 06.07.2021